ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი საკავშირო რეკორდი

ლენინგრადში მიმდინარეობს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტ-მძლეოსანთა შეჯიბრება. ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში შესანიშნავ წარმატებას მიაღწია ტ. შჩელკანოვამ, რომელმაც აჩვენა 6 მ 38 სმ და დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი. აღსანიშნავია, რომ მასვე ეკუთვნის საკავშირო და მსოფლიო მიღწევაც დახურული შენობისათვის 6 მ. 27 სმ.

ნ. ს. ხრუშჩოვისა და ჯ. კენედის შეხვედრა

ვენა, 3 ივნისი. (საკ.დისი). დღეს 12 საათსა და 45 წუთზე ვენის დროით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო მივიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ავსტრიის ელჩის ვენის რეზიდენციაში, რათა შეხვედროდნენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯ. კენედის.

პრეზიდენტი ჯ. კენედი, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ავსტრიაში ფ. მეტიუსი გამოვიდნენ ნ. ს. ხრუშჩოვისა და ა. ა. გრომიკოს შესახვედრად და მიესალმნენ მათ. ამის შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა და პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ დაიწყეს საუბარი.

აქტივისტებს — სამკერდე ნიშნები

სასკოლო ფიზკულტურულ კოლექტივებში სპორტული მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისა და აქტივისტთა წახალისების მიზნით ჯერ კიდევ 1958 წლის სექტემბერში საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალურმა საბჭომ შემოიღო ნიშანი—„სპორტის ნორჩი აქტივისტი“.

ნიშნით — „სპორტის ნორჩი აქტივისტი“ დაჯილდოვდებიან მე-5-10 კლასების მოსწავლეები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ კლასებში, რაზმებსა და სკოლებში მასობრივ-სპორტული მუშაობის გაშლისა და ორგანიზებაში. ამასთან ერთად ეს ჯილდო გადაეცემა იმ მოსწავლეებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს, როგორც კარგმა ორგანიზატორებმა, დისციპლინიანებმა და სწავლაში მოწინავეებმა.

რატომლაც ბევრი ფიზკულტურული ორგანიზაცია და სახალხო განათლების განყოფილებები მოსწავლეების მიმართ არ იყენებენ ამ წამახალისებელ ზომას და არ აჯილდოვებენ მოსწავლეებს ნიშნით—„სპორტის ნორჩი აქტივისტი“.

ნიშანი „სპორტის ნორჩი აქტივისტი“ რომ არსებობს, შეიძლება ჩვენი რესპუბლიკის ყველა სკოლაში არც კი იცოდნენ. ამიტომ საჭიროა, რომ საშუალო სკოლებში მიღებულ იქნას ღონისძიებები — ნორჩი აქტივისტი სპორტსმენების ამ ნიშნით დაჯილდოვებისათვის.

ნიშნების შეძენა შეიძლება დაკვეთით, შემდეგ მისამართზე: — მოსკოვი, ტელეგრაფის შესახვევი № 8, „ფიზკულტსნაბის“ ცენტრალური ბაზა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

4 ივნისი ოთხშაბათი, 1961 წ. № 73 (1709) გამოდის მე-17 წელი ფასი 3 კაპ.

საქართველოს მოჭადრაკეები პლოეშტში

ჩვენი რედაქცია დაუკავშირდა რუმინეთის მენავობეთა ქალაქს —პლოეშტს. ტელეფონთან მოვიდა ოსტატობის კანდიდატი თ. გიორგაძე. მან შეგვატყობინა, რომ პლოეშტში ქართველი მოჭადრაკეები ჩავიდნენ 2 ივნისს შუადღისას. საღამოთი კი შეხვდნენ ქალაქის სპორტული კლუბის „პეტროლულის“ („მენავობე“) მოჭადრაკეთა გუნდს. შეხვედრის პირველი ტური ჩატარდა ქალაქ პლოეშტის სტადიონის საჭადრაკო დარბაზში. პირველი ტური ასე წარიმართა: გურგენიძემ ოსტატ რადოვიჩს შესწირა ხარისხი და შემდეგ ლამაზად დაუშამათა, ბესლაგამ წააგო ოსტატ მიტიტელუსთან, გიორგაძემ 41-ე სვლაზე დაამარცხა ოსტატი ტარტოში, შიშოვი ოსტატ პავლოვთან ყაიმს დასჯერდა. სიცილიურ დაცვაში ყაყაბაძემ განაცვითარა ძლიერი იერიში და 22 სვლაში პერეკეზნიკთან გამარჯვებას მიაღწია. ქალთა შორის პირველ დაფაზე ითამაშა ტოგონიძემ რაიხესთან და პარტია ვადაიდო ტოგონიძისათვის უიმედო მდგომარეობაში.

ჩაიკოვსკაიამ სძლია გოგილას, ჭინჭიხაშვილი - დამარცხდა გეორგიუსთან. ამრიგად, მატჩის ანგარიშია 4,5:2,5 საქართველოს მოჭადრაკეთა სასარგებლოდ.

3 ივნისს შედგა მეორე—დასკვნითი ტური. დღეს საქართველოს მოჭადრაკეები ეცნობიან რუმინეთის ერთ-ერთ შესანიშნავ ადგილს — კურორტ სინაის და სხვა ისტორიულ-შესანიშნავ ადგილებს.

განის ფეხბურთელთა გამარჯვება

2 ივნისს მოსკოვში შედგა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში, დინამოს „დინამო“ მიიღო განის „ბლეკ სტარი“. მატჩი მოიგეს განის ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:1.

კეიოს სპორტულ სასახლეში

შესანიშნავი სპორტული დარბაზი აქვს იაპონიის კულტურის უძველეს კერას—იაკოჰამას უნივერსიტეტს კეიოს. იგი მოწყობილია თანამედროვე სამშენებლო ტექნიკის ყველა სიახლეთა გათვალისწინებით, უაღრესად კომფორტაბელურად. სტუდენტთა სპორტის სახახლე რამდენიმე ათას მაყურებელს იტევს და ჭიდაობაში მსოფლიო პირველობის საორგანიზაციო კომიტეტმა სწორედ იგი აირჩია შეჯიბრების საასპარეზოდ.

მსოფლიოს უძლიერეს მოჭიდავეთა ჩემპიონატი, რომელშიც 21 ქვეყნის 200-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობს, გახსნეს თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა. შეჯიბრების დაწყებას წინ უძღოდა, ასეთი დიდი და მნიშვნელოვანი ღონისძიებისათვის დამახასიათებელი, წინასასტარტო აჟიოტაჟი. იყო უამრავი პროგნოზი, აღიარება, ავტორიტეტული განცხადება სპეციალისტებისა, რომლებსაც ჩვენ აქ არ მოვიყვანთ. არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მხოლოდ ერთს, რომელიც თავისი ტონითა და პრეტენციოზულობით სარეკორდოა. ესაა თურქეთის გუნდის მწვრთნელის ვ. ემრეს განცხადება:

— თურქეთი ჩემპიონატში ყველა პირველ ადგილს მოიგებს!

ის ფაქტი, რომ თურქი მოჭიდავეები მსოფლიოში უძლიერესნი არიან, ყველასათვის ცნობილია, და სწორედ ამიტომ არაჩვეულებრივად თავხედურად ეღერს მწვრთნელის ყოველგვარ კონტროლს მოკლებული განცხადება. სხვა მწვრთნელები უფრო თავდაჭერილნი არიან პროგნოზებში.

ჩემპიონატი ტრადიციულად უმჩატეხი წონის მოჭიდავეებმა დაიწყეს, სადაც კარგი დებიუტი ჰქონდა საბჭოთა სპორტსმენს, მსოფლიოს ჩემპიონს ა. ალიევს. მან დიდი უპირატესობით მოუგო შეხვედრა სამხრეთ კორეის წარმომადგენელს კემ ჩონგ რაკს.

მჩატე წონაში კარგი სტარტი აიღო ამერიკის შეერთებული შტატების გუნდის წევრმა მულინომ. მან წმინდად მოუგო შეხვედრა საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონს მ. შახოვს.

ბრძოლა ქვემსუბუქ წონაში ფაქტიურად „ფინალური შეხვედრით“ დაიწყო. საქმე იმაშია, რომ კენჭისყრამ პირველსავე წრეში შეახვედრა ერთმანეთს ორი მთავარი ფავორიტი: იაპონელი ტ. სატო და ვ. რუბაშვილი. აღსანიშნავია ისიც, რომ ისინი პირველად არ შეხვდნენ ერთმანეთს. თავიანთი ძალები ერთი წლის წინათ მათ რომის ოლიმპიურ ხალიჩაზე გამოსცადეს. ბრძოლა ქულებით მაშინ ვ. რუბაშვილმა მოიგო. ამჯერად იაპონელმა შეძლო რევანშის აღება და უაღრესად ძნელ ბრძოლაში უმნიშვნელო უპირატესობას მიაღწია.

მომდევნო წონით კატეგორიაში საბჭოთა გუნდის წევრმა: ვ. სინიავსკიმ წმინდა გამარჯვება მოიპოვა ფრანგ ბოდონაზე, წმინდად მოიგო შეხვედრა მ. ბეკმურზოვმაც (ქვესაშუალო წონა). მან 8 წუთში დაამარცხა ახალზელანდიელი ფროსტი.

ბრწყინვალე სტარტი აიღო საშუალო წონაში საბჭოთა კავშირის გუნდის წევრმა გ. გობეჯიშვილმა. მისი მოწინააღმდეგე იყო იაპონელი იხიკავა, რომელსაც თანამემამულეები მხურვალედ უჭერდნენ მხარს. მიუხედავად ამისა, გობეჯიშვილმა ჩოჰჯენში საგრძნობ უპირატესობას მიაღწია და დაგროვა გამარჯვებისათვის საჭირო ქულები.

პრინციპული ხასიათი ჰქონდა ქვემძიმე წონის მოჭიდავეების ირანელი გ. ტახტისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ბ. გურევიჩის ბრძოლას. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირში ირანის გუნდის ვიზიტის დროს გურევიჩმა სძლია ძლიერ მეტოქეს ქულებით. ამჯერად უპირატესობა ირანელი მოჭიდავის მხარეს იყო, რომელმაც მოიგო კიდეც შეხვედრა. მძიმე წონაში ა. მედვედმა მეოთხე წუთზე წმინდა გამარჯვებას მიაღწია ამერიკელ ლუასთან ბრძოლაში.

როგორც ხედავთ, კენჭისყრა საბჭოთა სპორტსმენებისათვის არ იყო მაინცდამაინც სახარბიელო, რადგან ისინი პირველ წრეშივე შეხვდნენ ჩემპიონატის მთავარ ფავორიტებს. შედარებით სუსტ მოწინააღმდეგეებთან მოუხდათ ბრძოლა თურქებს, რომლებმაც პირველი წრის ყველა შეხვედრა მოიგეს. ეს წარმატება, ალბათ, ფრთებს შეასხამს თურქეთის გუნდის მწვრთნელს, რომელიც არ დააყოვნებს ახალი განცხადებებით გამოსვლას, მაგრამ ჩემპიონატი მხოლოდ დაიწყო. წინ კიდევ ბევრი დაძაბული ბრძოლებია და, შაშასადამე, ბევრი კანონზომიერი მოგება და გაუთვალისწინებელი დამარცხებები.

მსოფლიო პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში



სურათებზე: რუმინელი მოჭადრაკეები: მარცხნიდან—დ. დრიმერი, მ. თეოდორესკუ და გ. გეორგიუ.

შეკანასკნელ საათს!

მეორე და მესამე წრეში ალიევმა ორი გამარჯვება მოიპოვა. მან ჯერ სუფთად, მე-9 წუთზე დაამარცხა კროპი (პოლონეთი) და მერე ქულებით მოუგო იაპონელ მაცუბარას. შახოვმა მეორე წრეში მცირე უპირატესობით სძლია ტროიანოვსკი (პოლონეთი), მაგრამ მერე დამარცხდა კაცალამასთან (იაპონია) და შეჯიბრება დატოვა.

ვ. რუბაშვილმა მეორე წრეში მე-8 წუთზე ხალიჩას გაკრა ინდოელი სინეხი, მესამე წრეში კი ქულებით გამარჯვებას დასჯერდა ირანელ თავაკულთან.

სინიავსკიმ მეორე წრეში ინდონეზიელ ფერდოუსთან გამარჯვების მერე ქულებით წაგო სანდაკარასთან (ირანი) და მას 8 ხაჯარიმო ქულა აქვს.

გამარჯვებები მოიპოვეს აგრეთვე ბეკმურზოვმა, გურევიჩმა და მედვედმა. გობეჯიშვილმა წაგო სარაბადიხთან (ირანი).

ფედერაცია ებრძვის პრეზიდენტს

ამას წინათ ბუდაპეშტში გამართულ ტექნიკური კომისიის სხდომაზე კანოისტთა საერთაშორისო ფედერაციამ გადაწყვიტა ბოლომდე ებრძოლოს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ე. ბრენდეჯის წინადადებას ტოკიოს 1964 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან კანოეს ამოღების შესახებ.

კანოისტთა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის შარლ დე კოკრომონის განცხადების თანახმად, ბრძოლას აადვილებს ისიც, რომ იაპონიის ოლიმპიური კომიტეტის წინადადებას ოლიმპიურ თამაშებზე კანოეს ძიუ-დოთი შეცვლის შესახებ მხარი არ დუჭირა ჭიდაობის ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციამ და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 88 წევრიდან 67-მა თანხმობა გამოთქვა კანოე დარჩეს თამაშების პროგრამაში.

★



სურათზე: მომენტი უნგრეთისა და საქართველოს ტანმოვარჯიშეთა შეხვედრიდან. სტომას ასრულებს ქალთა შორის პირად ჩათვლაში გამარჯვებული ჟ. ქაჯაია, მისი შეფასება უმაღლესი იყო ამ ვარჯიშში — 9,533 ქულა.

ფოტო მ. ზარგარიანისა

★

მკითხველთა სიგნალები

აუზი უწყლოდ

8 წლის წინათ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ ააგო და საექსპლოატაციოდ გადასცა საცურაო აუზი, მაგრამ მისი დანიშნულებისამებრ გამოყენება დღემდე მოუგვარებელია. აუზს წყლით მაშინ ავსებენ, როცა ცურვის სეზონი მთავრდება. ასეთივე მდგომარეობაა წელსაც, ვინაიდან აუზის რემონტი ჯერ კიდევ არ დაუწყიათ. მოუგვარებელია აგრეთვე შხაპებისა და გასახდელების შეკეთების საქმეც.

ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ეს საკითხი არაერთხელ დააყენეს ქარხნის დირექციის წინაშე, მაგრამ შედეგი დღემდე არ ჩანს.

ხ. ტალახაძე

მდუმარედ შეჰყურებენ ყოფილ საასპარეზოს

თბილისში, დავითაშვილის ქუჩაზე მცხოვრები ბავშვები სპორტული მოედნების უქონლობის გამო სწავლისაგან თავისუფალ დროს უსაქმოდ ატარებდნენ. ასე გრძელდებოდა სანამ კალინინის სახელობის რაიონის სპორტულ ორგანიზაციათა კავშირის ინიციატივით ყოფილი ეკლესიის ეზო არ გადაკეთდა სპორტულ მოედნად. დაიდგა კალათბურთის ფარები, ეზო შემოიღობა. ასე რომ, გაკეთდა ყველაფერი ის, რაც ბავშვებისათვის სრულიად საკმარისი იყო. მოედნის კეთილმოწყობაში თვითონ მოსწავლეები იღებდნენ მონაწილეობას და მოედანს ხუმრობით დავითაშვილის ქუჩის „ლუნიკები“ შეარქვეს.

ამ სპორტულ მოედანზე სწავლისგან თავისუფალ დროს იკრიბებოდა დავითაშვილის ქუჩის და მის ახლოს მდებარე ქუჩებზე მცხოვრები ბავშვები. ტარდებოდა შეხვედრები ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, ხელბურთში და ჰოკეიშიც კი (გორგოლაჭიანი ციგურებით). საწუხაროდ, დიდხანს არ გაგრძელებულა ასე. 29 მაისს, დილით სპორტულ მოედანს მოადგნენ კალინინის სახელობის რაიონული საბჭოს წარმომადგენლები, განაცხადეს, რომ ეს ადგილი უნდა გადაკეთებულიყო საწყობად. სიტყვები საქმედ იქცა და უკვე რამდენიმე წუთის შემდეგ მუშებმა დაიწყეს მოედნის შემოღობვა უზარმაზარი ფიცრის კედლით. თვალცრემლებული დაჰყურებდნენ თავის მოედანს ბავშვები და დღესაც, როდესაც რაიონულმა საბჭომ თავისი საქმე დაამთავრა, ბავშვები დანიშნულ დროს, თითქოს ვარჯიშზე მოდიან, თავს იყრიან ახლა უკვე საწყობთან და მდუმარედ შესცქერიან ყოფილ საასპარეზოს.

ჯ. ჯაფარიძე

ჯილდოები გამარჯვებულებს

გასული წლის სპორტულ სეზონში მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივად განვითარების, მაღალკვალიფიციური სპორტსმენების, ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების დარგში. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურელთა რიცხვი 5 მილიონით გაიზარდა და ამჟერად 30 მილიონ კაცს შეადგენს. მომზადდა 4.614 ოსტატი, 2 მილიონზე მეტი თანრიგოსანი. კარგი მუშაობით თავი გამოიჩინეს **რსფსრ-ს, უკრაინის, საქართველოსა** და **ესტონეთის** სპორტკავშირებმა. სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალურმა საბჭომ შეაჯამა 1960 წლის სოციალისტური შეჯიბრებაა შედეგები და მიიღო გადაწყვეტილება დაჯილდოოს რესპუბლიკების სპორტკავშირები, სპორტული საზოგადოებები, ქალაქების ფიზკულტურული ორგანიზაციები და ფიზკულტურის კოლექტივები, რომლებმაც მიაღწიეს მაღალ მაჩვენებლებს ვალდებულებათა შესრულების საქმეში. გარდამავალი წითელი დროშებითა და საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ **რსფსრ-ს, უკრაინის, საქართველოსა** და **ესტონეთის** სპორტკავშირები, რომლებმაც შეასრულეს შვიდწლედის მეორე წლის დავალება ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების დარგში.

ოსტატებისა და თანრიგოსნების მომზადების საქმეში წარმატებით იმუშაეს რუსეთის ფედერაციის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა. მათ გასულ წელს აღზარდეს 2.600 სპორტის ოსტატი, 3.100 — პირველთანრიგოსანი და მილიონზე მეტი სხვა თანრიგის სპორტსმენი. ეს ბევრად აღემატება გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებას.

მასობრიობის დარგში მაღალი შედეგები მოიპოვა უკრაინის სპორტკავშირმა. ამჟამად აქ ყოველი მეხუთე კაცი ფიზკულტურელია. უკრაინელებმა პირნათლად შეასრულეს ვალდებულებანი ოსტატებისა და თანრიგოსნების მომზადების დარგში.

დამსახურებულად მოიპოვა მაღალი ჯილდო საქართველოს სპორტკავშირმა, სადაც აგრეთვე მიღწეულია მაღალი შედეგები ფიზკულტურულ მოძრაობაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმისა და ახალი სპორტული კადრების აღზრდის დარგში.

ესტონეთის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა მოიპოვეს მაღალი მაჩვენებლები. აქ განსაკუთრებით კარგად არის დაყენებული მოსწავლეთა შორის სპორტული შუშაობა. VII—XI კლასების ყოველი მესამე და ტექნიკუმების ყოველი მეოთხე ახალგაზრდა სპორტსმენი-თანრიგოსანია.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების დარგში ძირითადი მაჩვენებლების შესრულებისათვის ცენტრალური საბჭოს საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ ბელორუსიის, უზბეკეთის, უაზახეთისა და ლატვიის სპორტკავშირები.

გასულ წელს სპორტკავშირის ცენტრალურმა საბჭომ დააწესა გარდამავალი წითელი დროშები სოფლის სპორტულ საზოგადოებათათვის. პირველად ეს ჯილდო (წითელი დროშა და საპატიო სიგელი) გადაეცემა ესტონეთის საზოგადოებას **„ითუდს“**, რომელმაც მნიშვნელოვნად გადააჭარბა თანრიგოსანთა მომზადების დაწესებულ გეგმებს. ყოველი მეათე ესტონელ სოფლის ფიზკულტურელს აქვს სპორტული თანრიგი.

საპატიო სიგელები გადაეცათ „უროუაის“ (რსფსრ), **„კოლგოსპნიკს“** (უკრაინა), **„კოლმეურნეს“** (საქართველო).

განხილულ იქნა პროფკავშირებისა და უწყებათა სპორტული საზოგადოებების მუშაობის შედეგები და პრეზიდიუმმა გარდამავალი წითელი დროშებითა და საპატიო სიგელებით დაჯილდოვა: **„შრომითი რეზერვების“** საკავშირო საზოგადოება და **„განთიადის“** (საქართველო) რესპუბლიკური საზოგადოება, ეს ჯილდოები გადაეცემათ მათ შვიდწლედის მეორე წლის ძირითადი მაჩვენებლების წარმატებით შესრულებისათვის.

რუსეთის ფედერაციის სპორტული საზოგადოებები **„ტრუდი“** და **„დინამო“**, უკრაინის **„ბურევესტნიკი“** დაჯილდოებული არიან საპატიო სიგელებით: სპორტის ოსტატებისა და თანრიგოსნების მომზადებისათვის, ხოლო უკრაინის **„ავანგარდი“** და **„ლოკომოტივი“** (ჩრდილოეთის რკინიგზა) — კოლექტივებში ფიზკულტურისა და სპორტული მუშაობის მასობრივად განვითარებისათვის.

ქალაქების ფიზკულტურულ ორგანიზაციებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდნენ: **კიევის, კიროვის, კრასნოდარის, ქუთაისის, ტარტუს, უფისა და ჩელიაბინსკის** საქალაქო სპორტკავშირები, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს გეგმების ძირითადი მაჩვენებლები. ამ სპორტკავშირებს გადაეცემათ სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს გარდამავალი დროშები და საპატიო სიგელები.

ამას გარდა, სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა საპატიო სიგელებით დაჯილდოვა **მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისისა** და **ბაქოს** სპორტკავშირები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა მომზადებაში; **მინსკის, პანევეჟისისა** და **პეტროზავოდსკის** სპორტკავშირები —ფიზკულტურისა და სპორტული მუშაობის მასობრიობისათვის; **ბრესტისა და კიროვაკანის** სპორტკავშირები — მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის კარგად დაყენებისათვის.

სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა საპატიო სიგელებით დაჯილდოვა ქარხნების, ფაბრიკების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სასწავლებლებისა და დაწესებულებების ფიზკულტურის კოლექტივები.

მუშებს, მოსამსახურეებს, კოლმეურნეებსა და მოსწავლეთა შორის ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივად დანერგვისათვის **მშთ** ნიშნოსანთა და სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადების გეგმების წარმატებით შესრულებისათვის პრეზიდიუმმა საპატიო სიგელებით დაჯილდოვა 216 მოწინავე კოლექტივი, რომელთა შორის ჩვენი რესპუბლიკიდან არიან: თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა, სატრიკოტაჟო კომბინატი, მაუდ-კაშვოლის კომბინატი „საბჭოთა საქართველო“, თბილისის ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკა, ქარხანა ელექტროავტომატი, ორჯონიკიძის სახელობის ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, სტალინის სახელობის ბათუმის ნავთგადამმუშავებელი ქარხანა, თბილისის ელდეპო, მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა, სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა, მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამტრედიის რაიონის სოფელ დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, თბილისის რკინიგზის № 1 სასწავლებელი და სხვ.



სურათზე: საქართველოს ტანმოვარჯიშეთა გუნდები, რომლებმაც გამარჯვება მოიპოვეს უნგრელებთან შეხვედრაში. მარცხნიდან: ჯ. ფრიდონიშვილი, ი. ბალიაური, ი. კოვალიოვი, მ. ბოგუსი, რ. კობახიძე, რ. კაპანიძე; ე. ბენიძე, ჟ. ქაჯაია, მ. ცნობილაძე, ა. ჯანუაშვილი, მ. ნინოშვილი, გ. შარაბიძე; მწვრთნელები— ხ. თედეევი და ვ. ჯაიანი.

ფოტო გ. ეორეოლიანისა.

მოსწავლეთა სპარტაკიადები

ეროვნული ოლიმპიადა

მაისის მეორე ნახევარში ჩატარდა ლაგოდეხის მოსწავლეთა IX რაიონული სპარტაკიადა.

საშუალო სკოლებს შორის საერთო პირველი ადგილი დამსახურებულად მოიპოვა ნინიგორის საშუალო სკოლის ნაკრებმა გუნდმა.

შვიდწლიანი სკოლებიდან სპარტაკიადაში საერთო პირველი ადგილი მოიპოვა სოფელ შრომის შვიდწლიანმა სკოლამ, მეორე ადგილზეა გურგენიანის, მესამეზე—ცოდნისკარის შვიდწლიანი სკოლა.

ი. ნადაშვილი

თეთრი წყაროს

ამ დღეებში თეთრი წყაროს რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადაში მონაწილეობდა 500 ჭაბუკი და ქალიშვილი.

სამი დღის შეჯიბრების შემდეგ საერთო გუნდური პირველობა დასაკუთრეს თეთრი წყაროს რუსული საშუალო სკოლის სპორტსმენებმა. ფრენბურთში ქალთა შორის პირველ ადგილზეა ასურეთის საშუალო სკოლის კოლექტივი, ხოლო ვაჟთა შორის — მანგლისის ქართული საშუალო სკოლა.

კალათბურთელ გოგონათა შორის პირველობა არავის დაუთმო თეთრი წყაროს რუსული საშუალო სკოლის გუნდმა, ასევე პირველი ადგილი ხვდა ამ სახეობაში ამავე სკოლის ვაჟთა გუნდს.

პ. გიორგაძე

სიტყვა და საქმე

სტუდენტ მხატვართა ნაწარმოებთა გამოფენის გამო

ხაქართველოში ხაბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს მიუძღვნა თბილისის ხამხატვრო აკადემიამ თავის სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკის, არქიტექტურისა და კერამიკის 400-მდე ნაწარმოებს აერთიანებს. მათი ავტორები აკადემიის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა რამდენიმე თაობას წარმოადგენენ. ჩვენთვის კარგადაა ცნობილი ერთი გარემოება, რომელიც ყოველ მათგანს, ყოველ თაობას აკავშირებს ხაერთო თვისებით, ხაერთო გატაცებით. ესაა ხპორტის ხიყვარული, რომელიც (გულახდილად უნდა ვთქვათ) ზოგჯერ ზომიერების ფარგლებსაც კი ცილდება. გულახდილად ვიტყვით იმასაც, რომ ჩვენ — ხპორტის ხამხატურში მყოფ ადამიანებს — ხელოვნების მუშაკთა, მათი ახალგაზრდა თაობის ეს უზომო, გადაჭარბებული გატაცებაც კი გვახარებს; ვინაიდან იგი ნამდვილ, დიდ ხიყვარულზე მეტყველებს. მაგრამ გვაბარებს მხოლოდ მაშინ, როცა ეს ხიყვარული და ლამაზი ხიტყვები ხპორტის შესახებ ხაქმითაც არის განმტკიცებული.

ხამწუხაროდ, აღნიშნული გამოფენის დათვალიერებამ არ გვაგრძნობინა ეს ხიხარული, რამდენადაც ახალგაზრდა მხატვრების ხიტყვა და ხაქმე ერთი არ აღმოჩნდა. ოთხი ახეული ნაწარმოებიდან მხოლოდ ოთხი-ხუთი ხპორტულ თემაზე?... განა ეს გარემოება გამოხატავს ხაქმით დამტკიცებულ, ნამდვილ ხიყვარულს?! განა ეს გარემოება გამოხატავს ნამდვილ მატივისცემას ჩვენი ხპორტხმენენის მიმართეს მოწოდებით ქართველ მწერლებსა და ხელოვნების მუშაკებს — უფრო ახლოს მისულიყვნენ მათ ცხოვრებასთან და უფრო ღრმად აეხახათ იგი?!

უპატივცემლობა ვიგრძენით მაშინაც, როცა ხპორტულ თემატიკაზე შექმნილ ზემოაღნიშნულ თითებზე ჩამოხათვლელ ხაყოფილებებს ვათვალიერებდით. ერთის გარდა, ვერც ერთ მათგანთან დაკავშირებით ვერ შევძელით ხრულად და ზუსტად დაგვეკმაყოფილებინა ყველა ის ინტერესი, რომელიც გამოფენაზე მისულ კაცს აღეძვრის ამა თუ იმ ნაწარმოების დათვალიერებისას. აი ფერწერული ტილო — „ჭიდაობა"; მის ავტორად აღნიშნულია ზერელედ — „ხახუტაშვილი", ყოველგვარი ინიციალის გარეშე. მაგრამ, განა ერთადერთი ხახუტაშვილი შეიძლება არსებობდეს მხატვართა, მითუმეტეს, სტუდენტ-მხატვართა შორის? იგივე ითქმის „ალპინისტებზე", რომლის ავტორია „თოთიბაძე". როელი თოთიბაძე? უკვე ცნობილი მხატვარი, თუ ვინმე ხხვა?... ეს კიდევ არაფერი ხხვა ფაქტთან შედარებით: გამოფენის მთავარ დარბაზში მოთავხებულია პატარა ეტიუდი, რომელიც ხოფლის ფონზე ბავშვების ლაბტის თამაშს წარმოხახავს. ვისია ეს ხურათი? როდის დაიწერა იგი? რა ჰქვია მას? ყველა ეს კითხვა უპასუხო დაგვრჩა, ვინაიდან ამგვარ ცნობარს ვერ მივაკვლიეთ ჩვენთვის ხაინტერესო ნაწარმოებთან დაკავშირებით.

ტრადიცია გრძელდება

ზუგდიდის რაიონში ტრადიციად იქცა ასწავლო წლის დამთავრებასთან დაკავშირებული ფიზკულტურულ-ხპორტული ზეიმების მოწყობა. ახლაც, ასწავლო წლის დამთავრებას მიეძღვნა მოსწავლეთა კოლექტივების ხპორტული ზეიმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქალაქის ხაშუალო ხკოლების, ჩაის ტექნოლოგიური ტექნიკუმის, ბავშვთა ხპორტული ხკოლისა და ხასოფლო-ხამეურნეო ტექნიკუმის ფიზკულტურელებმა.

ზეიმის მონაწილეებმა ვეასრულეს მხატვრული გამოსვლები, თავისუფალი და აკრობატული ვარჯიშები. რაიონის ბავშვთა ხპორტსკოლის ნორჩმა ხპორტსმენებმა ტანვარჯიშულ იარაღებზე შეასრულეს ვარჯიშები.

ა. ბაკურაძე

ერეკლეულ ბიბლიოთეკა

საქალაქთაშორისო შეხვედრები

საქალაქთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფრენბურთში, რომელშიც 3 ქალაქის — „ბურევესტნიკი" — ხარკოვი, „ხპარტაკი" — გროზნო, თბილისის ხასოფლო-ხამეურნეო და ფიზკულტურის ინსტიტუტების გუნდები მონაწილეობენ, თბილისში, ხპორტის ხასახლეში 2 ივნისს დაიწყო.

მოთელვის შემდეგ მოედანზე პირველნი გამოვიდნენ: „ხპარტაკი" — გროზნო და თბილისის სკიფ-ი. თამაშის შედეგი, — 3:2 თბილისელთა ხასარგებლოდ, ჩვენი მკითხველისათვის ცნობილია.

„ბურევესტნიკისა" (ხარკოვი) და თბილისის ხასოფლო-ხამეურნეო ინსტიტუტის გუნდების შეხვედრაში იგრძნობოდა კარგი და კომბინაციური თამაში. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ორივე გუნდი ხშირად მიმართავდა ძალისმიერ შეტევას, რომელსაც უფრო მეტად შეცდომებამდე მიჰყავდა გუნდის მოთამაშეები, ვიდრე წარმატებამდე. თამაში, რომელიც 2 ხაათს გაგრძელდა და მიუხედავად იმისა, რომ თბილისელებმა დამაჯერებელი ანგარიშით — 3:1 მოიგეს, ხარკოველთა გუნდზე ვერ ვიტყვით, რომ იგი მოედანზე სუსტი იყო.

I პარტიაშიც ორივე გუნდი დაძაბულად თამაშობდა. გუნდები ერთმანეთს მისდევდნენ ფეხდაფეხ, ამაზე ანგარიშიც მეტყველებს: 2:1 (თბილისელთა ხასარგებლოდ) შემდეგ 2:2, 5:3 (ხარკოველთა ხასარგებლოდ) კვლავ ფრე—5:5, 6:6, 8:8, 9:9, 10:10, ხოლო ამის მერე თბილისელები ხელში იღებენ ინიციატივას და პარტია მათ ხასარგებლოდ 15:10-ზე მთავრდება. მეორე პარტია თბილისელებმა უფრულად დაიწყეს და მხოლოდ მაშინ, როცა ანგარიში 9:3 იყო ხარკოველთა ხასარგებლოდ, თბილისელების თამაშში გარდატეხა მოხდა. ანგარიში 8:9 გახდა. როცა ანგარიში 12:12 იყო, ორივე გუნდს დაეტყო ნერვიულობა, უშვებდნენ შეცდომებს ბურთის გადაცემა-მიღებისას და დიდხანს არ იცვლებოდა ანგარიში. ბოლოს ხარკოველები გავიდნენ წინ — 13:12, 14:12, მაგრამ თბილისელები ათანაბრებენ თამაშს: 14:14, ბოლოს კი გამარჯვებასაც აღწევენ 16:14. მესამე პარტიის წინ თითქოს შეხვედრის ბედი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ამჯერად ხარკოველები ახდენენ მთელი თავისი ძალების მობილიზაციას და მესამე პარტიას იგებენ ანგარიშით 15:13. მეოთხე პარტია სავსე იყო დრამატული მომენტებით, თავდაპირველად პატარა განსხვავებით იგი მიჰყავდათ ხარკოველებს, შემდეგ ისინი გამარჯვებასთანაც ახლოს იყვნენ და როცა ანგარიში 14:11 გახდა მათ ხასარგებლოდ, თბილისელებმა თამაშში გარდატეხა შეიტანეს. ვ. კაპრავა, ვ. გავრილენკო და სხვა მათი თანაგუნდელები მთელი ძალების დაძაბვით იბრძვიან, იყენებენ კარგად გაზრდილ ცრუმოძრაობებს, ატარებენ რამდენიმე თავბრუდამხვევ კომბინაციას და იგებენ პარტიას 16:14-ზე. ამ პარტიის მოგებამ განაპირობა შეხვედრის ბედიც. 3:1 თბილისელთა ხასარგებლოდ.

* * *

გუშინ, სამი ქალაქის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების შეჯიბრების მეორე დღე იყო. თბილისის ხასოფლო-ხამეურნეო ინსტიტუტის გუნდმა დაამარცხა გროზნოს „ხპარტაკი" ანგარიშით 3:2.

ჯ. ენუქიძე

ჩვენი ხპორტის ვეტერანები

ხასტუმროს ნომრის კარებზე დააკაკუნეს.

— თქვენ გთხოვენ, — თქვა დეჟურნის მორიგემ და ხპორტსმენს ავიზიტო ბარათი გადასცა.

„ეიაჩესლავ ადოლფის-ძე კოუბა, ქალაქ კლადნოს ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელი" — ეწერა ბარათზე. ცნობილი ხაბჭოთა გიმნასტი ნ. თაყაიშვილი, რომელიც პრაღაში ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ხპორტსმენთა ჯგუფთან ერთად ჩავიდა ხპორტულ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად, გაკვირვებით კითხულობდა ამ ხტრიქონებს; გვარი კოუბა მას პირველად ესმოდა.

— თქვენ, რა თქმა უნდა, გიკვირთ ჩემი მოსვლა, — დაიწყო ხტუმარმა, — მაგრამ მე არ შემიძლია ალტაცება არ გამოვთქვა ხაბჭოთა ტანმოვარჯიშეების გამოსვლით. და მერე, მე შევიტყვე, რომ თქვენ ხაქართველოდან ხართ, გიორგი ეგნატაშვილის ხამშობლოდან. ო!... პრაღას ახსოვს მისი გამოსვლა — მე ვამბობ ხპორტულ პრაღაზე — ეს იყო უმაღლესი კლასი!..

ეს ამბავი ზუსტად 38 წლის შემდეგ მოხდა მას მერე, რაც აღტაცებული პრაღელი მაყურებლები მჭუხარე ტაშით ავილდოვებდნენ ქართველი ტანმოვარჯიშის გამოსვლას. არც თუ მცირე დროა!...

— ყური მიგდე ბურგელა, შემოდი ჩვენს ორკესტრში, — ეუბნებოდა ჭაბუკს ვასია გელვიხი.



ფუძემდებელი

— რას ამბობ ბიჭო, — თქვა გიორგიმ, — ესეთი კოჭრიანი ხელებით როგორ გამოვადგები თქვენს სიმებიან ორკესტრს!

მაშინ ვასიამ თავისი ხელებიც გაუწოდა გ. ეგნატაშვილს და განუმარტა, რომ ეს კოჭრები მას ტანვარჯიშისაგან აქვს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მას დაუკრას ორკესტრში.

ჭაბუკმა ყურები ცქვიტა.

— ტანვარჯიშისაგანო?! აი ეს მესმის! ორკესტრის შესახებ მერე ვილაპარაკოთ, ახლა კი, რაც შეიძლება ჩქარა მიმიყვანე იმ დარბაზში, სადაც შენ ვარჯობ...

ასე დაიწყო რკინიგზის ახალგაზრდა მუშის — გ. ეგნატაშვილის ხპორტული გზა.

საქმემ მწვრთნელების ყველაზე დიდ ვარაუდსაც კი გადააჭარბა. უკვე 22 წლის გ. ეგნატაშვილმა პრაღის საერთაშორისო ტანვარჯიშულ შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა და 1800 ხპორტსმენს შორის მეთერთმეტე ხაპატიო ადგილი დაიკავა.

...1912 წელი! ეს იყო არა მარტო გ. ეგნატაშვილის, არამედ საქართველოდან წარგზავნილ ტანმოვარჯიშეთა მთელი გუნდის ტრიუმფის წელი. ამხანაგები გიორგის აუცილებელ პირველ ადგილს უწინასწარმეტყველებდნენ პრაღის ახალ საერთაშორისო შეჯიბრებაში, ისეთ საბრძოლო ფორმაში იყო იგი! მაგრამ, მოხდა ისე, რომ საქართველოს ტანმოვარჯიშეთა გუნდს ერთი კაცი აკლდა; გიორგიმაც გასწირა პირადული ინტერესები და გუნდში ჩაირიცხა, რაც მას უკრძალავდა პირად პირველობაში მონაწილეობის მიღებას.

2241 გიმნასტი ჩამოვიდა იმ წელს ევროპისა და ამერიკის ქვეყნებიდან ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში. და ამ დიდძალ მონაწილეთა შორის მაინც გამოირჩეოდა საქართველოს მეიდრო, მეგობრული კოლექტივი, რომელსაც შედეგების მიხედვით ტოლი არ ჰყავდა მთელს შეჯიბრებაში! ამაში კი განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღოდა გიორგი ეგნატაშვილს, რომელმაც მრავალრიცხოვანი მაყურებელი მოხიბლა თავისი შესანიშნავი ვარჯიშით. ამ ურიცხვ თაყვანისმცემელთა შორის იყო ზემოთხსენებული მასწავლებელიც ქალაქ კლადნოდან, რომელმაც 38 წლის შემდეგ გაუხსენა ვს ამბავი ნ. თაყაიშვილს...

ტანვარჯიში ბრწყინვალე საერთაშორისო დიდებას უქადდა გ. ეგნატაშვილს, მაგრამ სწორედ ამ დროს დაიწყო იმპერიალისტური ომი და კიდევ ბევრი წლის განმავლობაში მოგონებადღა იქცა საერთაშორისო შეხვედრები, შეჯიბრებები...

* * *

ქართული ტანვარჯიშის ფუძემდებელმა, მწვრთნელმა, აღმზრდელმა-ნოვატორმა, პედაგოგმა —. გ. ეგნატაშვილმა დიდი ცხოვრება განვლო ხპორტში. საკმარისია ითქვას, რომ არ არსებობს არც ერთი რამდენადმე მნიშვნელოვანი ტანმოვარჯიშე საქართველოში, რომელსაც გიორგი სიმონის-ძის მადლიან ხელში არ გამოეაროს; საკმარისია ითქვას, რომ მან აღზარდა 12 ხპორტის დამსახურებული ოსტატი და 33 ხპორტის ოსტატი მხოლოდ ტანვარჯიშში!...

დიდია გიორგი ეგნატაშვილის ღვაწლი ქართული ხპორტის წინაშე და ეს ღვაწლი არა ერთხელ აღუნიშნავს ხაბჭოთა მთავრობას მრავალრიცხოვანი ჯილდოებით.

ხ. პოკოვი

* * *

ხურათებზე. ზემოთ — გ. ეგნატაშვილი ახლაც ყოველდღიურად ვარჯიშობს განტელებით; და აი, ხისტემატური წრთობის შედეგიც: შვიდი ათეული წლის შემდეგაც არ „წყალობს" გიორგი სიმონის-ძე ხაოგალეებს.

რატომ ვამბობთ?

„სპორტი"

სიტყვა, გადადის რა ერთი ენიდან მეორეში, ხშირად სხვა ელფერს იძენს. ძველი ფრანგული „დეპორტ" — გართობა — ისესხეს ინგლისელებმა. ძველად ეს სიტყვა ინგლისურად ასე ჟღერდა „დისპორტ", შემდგომ „დისპორტი" გადაიქცა „სპორტად". ასეთი მნიშვნელობით „სპორტი", როგორც ახალი სიტყვა ისევ საფრანგეთში დაბრუნდა და მალე გავრცელდა მთელს მსოფლიოში. იტალიურ ენაში ახლაც არის სპორტის წინაპარი — „დი-პორტო" — მხიარულება.

△

„სპარტაკიადა"

ყველასათვის ცნობილია თრაკიელი სპარტაკის ისტორია, ადამიანისა, რომელმაც მონებისა და გლეხებისაგან შექმნა დიდი არმია და არა ერთი დამარცხება აგება რომის ლეგიონერებს.

მას შემდეგ განვლო ორი ათასზე მეტმა წელმა, მაგრამ სპარტაკის სახელი ჯალხთა მეხსიერებაში დარჩა როგორც დაჩაგრულთა თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლო. და აი, ჩეხოსლოვაკის მუშა-სპორტსმენებმა 1921 წელს სპარტაკის პატივსაცემად გამართულ ღღესასწაულს „სპარტაკიადა" უწოდეს. 1924 წლიდან სპარტაკიადა ტარდება ჩვენს ქვეყანაშიც.

△

„პროლი"

კროლი—სიტყვა-სიტყვით „ცოცვას" ნიშნავს. სპორტსმენი, რომელიც კროლის სტილით ცურავს, მიწაზე მცოცავ ადამიანს მოგაგონებთ. პირველად კროლის სტილით ცურვის ხელოვნება აჩვენა ჰავაის კუნძულების მკვიდრმა დიუკ კახანამოკმა. ეს მოხდა 1912 წელს სტოკჰოლმში გამართულ V ოლიმპიური თამაშების დროს, მაშინ კახანამოკმა ოლიმპიური მედალი დაიმსახურა.

კროსვორდი

1. ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელი; 2. ტანვარჯიშული იარაღი; 3. ქალთა შორის მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ციგურებით ფიგურულ სრიალში; 4. სკვო-ველის ოლიმპიადის ჩემპიონი ტრამპლინიდან ხტომაში; 5. ადგილი ველოსრბოლისათვის; 6. რბენის სახე; 7. ბურჟუაზიულ ქვეყნებში გავრცელებული სპორტი; 8. ამერიკელი მოჭადრაკე; 9. „ა" კლასის ფეხბურთელთა გუნდი. 10. სპორტული ასპარეზობა; 11. მომავალი ოლიმპიური თამაშების ჩატარების ადგილი; 12. ბოგბურთის მოედანი; 13. [illegible] ავსტრიის ჩემპიონი კრივში; 14. [illegible] ბრძოლის [illegible] ; 15. [illegible] ; 16. სპორტული ნაგებობა; 17. ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი ცენტრფორვარდი ფეხბურთში; 18. სავალდებულო მოძრაობა ძალოსნობაში; 19. ელვისებური თამაში ჭადრაკში, შაშში; 20. ჰოკეის ინვენტარი; 21. საფარიკაო იარაღი; 22. ცნობილი ირანელი მოჭიდავე; 23. ჭიდაობის სახე; 24. მელბურნის ოლიმპიადის ჩემპიონი სამმაგ ხტომაში; 25. ცრუ მოძრაობა ფეხბურთში, ჰოკეიში; 26. კრივის მოედანი; 27. საბჭოთა ხუთჯიდელი; 28. დიდი საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში; 29. „ა" კლასის ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 30. ცნობილი ესპანელი მწვრთნელი ფეხბურთში; 31. საბჭოთა გროსმაისტერი; 32. რომის ოლიმპიადის ჩემპიონი ჰოკეით ხტომაში.

შეადგინა ა. ენუქაშვილმა.

გამოცანა

სტარტი აიღო ორმა
„სპრინტერმა",
მათ ფინიშდელი გაიმეორეს:
რა გზაც ხუთ ფუთში
დაფარა ერთმა,
ის ერთ საათში განვლო
მეორემ.

ლ. ქავთარაძე

— თევზაობის შემდეგ ჩემი ძმარი აუცილებლად თქვენთან შემოიცლის და უთხარით, რომ მე უკვე ვიყიდე თევზი.

რედაქტორი ი. უგულავა.

სპორტის ფრონტიდან

წვრთნის ახალი ხერხები

ინგლისას ქალაქ დარვინის მკვიდრნი უჩვეულო წესით ღებულობენ გაზეთებს. ფეხბურთელი რ. კლეიტონი ყოველ დილას ავსებს თავის ჩანთას გაზეთებით და სირბილით დაატარებს ხელისმომწერებში. ესაა მისი ყოველდღიური წვრთნის ერთი ნაწილი. რ. კლეიტონის სიტყვებით, წვრთნის ეს ხერხი მას დიდად ეხმარება კარგი ფორმის შენარჩუნებაში (რ. კლეიტონი „ბლეკბორნ როვერსის" უძლიერესი მოთამაშეა და ეროვნულ ნაკრებშიც შედის).

ტექნიკა ფანტასტიკის ზღვარზე

ერთერთმა ინგლისურმა ფირმამ პატენტი დაადო ელექტრონულ ხელსაწყოს მეთევზე-მოყვარულთათვის: როდესაც თევზი ანკესზე წამოეგება, ხელსაწყო ჩართავს სიგნალს, რომელიც აღვიძებს მეთევზეს.

არგენტინელები ევროპაში

ევროპაში საგასტროლოდ მოელიან არგენტინის ნაკრებ გუნდს. არგენტინელთა მწვრთნელმა კორესპონდენტებს განუცხადა, რომ მისი ფეხბურთელები საკმაოდ კარგად იცნობენ სამხრეთ ამერიკის ქვეყნების გუნდებს, ხოლო ევროპა მათთვის ჯერჯერობით ამოუხსნელ ამოცანას წარმოადგენს.

არგენტინელთა გამოსვლები შედგება ესპანეთში, პორტუგალიაში, იტალიასა და ჩეხოსლოვაკიაში.

4-5 ივნისი

ფიზკულტურელის პარკის საზაფხულო აუზი საკავშირო პირველობა წყალბურთში

დღეს!

„ბურევესტნიკი" (მინსკი)-„დინამო" (ტალინი), „ბურევესტნიკი" (მოსკოვი)-„ბურევესტნიკი" (კიევი), „ტრუდი" (რსფსრ)-„სპარტაკი" (ლენინგრადი)-„დინამო" (თბილისი)-„ბალტიკა" (ლენინგრადი).

ხვალ!

„ბალტიკა" (ლენინგრადი)-„ბურევესტნიკი" (მოსკოვი), „სპარტაკი" (ლენინგრადი)-„დინამო" (თბილისი), „დინამო" (ტალინი) - „ტრუდი" (რსფსრ), „ბურევესტნიკი" (კიევი)-„ბურევესტნიკი" (მინსკი).

დასაწყისი 17 საათზე.

პოლონელები ძნელი ამოცანის წინაშე

პოლონელი ფეხბურთელები არ მიეკუთვნებიან უძლიერესთა რიცხვს ევროპაში, თუმცა ისინი არაერთხელ მონაწილეობდნენ მსოფლიო ჩემპიონატებში. 1957 წელს, VI ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში მათ სამჯერ მოუხდათ შეხვედრა საბჭოთა ფეხბურთელებთან, და ბოლოსდაბოლოს დათმეს ფინალში მონაწილეობის უფლება. VII ჩემპიონატის კენჭისყრისას პოლონელთა მომავალი მეტოქე აღმოჩნდა იუგოსლავიის ნაკრები. პოლონელები ძნელი ამოცანის წინაშე აღმოჩნდნენ.

თუ პოლონურ გაზეთ „სპორტის" მიერ გამოქვეყნებულ ცხრილს გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ყველაზე მეტად პოლონელებს თამაში უჭირთ ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის გუნდებთან, ხოლო იუგოსლაველებთან შედარებით უკეთესი მდგომარეობა აქვთ. 13 თამაშიდან პოლონელებმა მოიგეს 5, წაგეს 7 და ფრედ დაამთავრეს 1 (ბურთების შეფარდება 32:38).

პოლონეთის ნაკრების მწვრთნელები ჩ. კრუგი და რ. კონცევიჩი, რომლებიც გუნდს სათავეში ჩაუდგნენ, ფრანგი მწვრთნელის ჟან პრუფის შემდეგ, მატჩს საბჭოთა კავშირის ნაკრებთან განიხილავდნენ, როგორც „გენერალურ რეპეტიციას" და ეს რეპეტიცია პოლონელებმა შესანიშნავად ჩაატარეს.

იუგოსლავიის ნაკრების დამარცხებამ უნგრელებთან (2:4) საკუთარ მინდორზე პოლონელ მიმომხილველებს საფუძველი მისცა გაეცხადებინათ, რომ მატჩი (შედგება დღეს) ბელგრადში შეიძლება კარგად დამთავრდეს. რაც შეეხება იუგოსლაველთა მწვრთნელებს ა. ტირნანიჩსა და რ. მიტიჩს, მათ საკმაო სადარდებელი გაუჩნდათ, ვინაიდან საფუძვლიანად „გაახალგაზრდავებულ" გუნდს ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი აქვს. სწორედ ამიტომ დააბრუნეს ნაკრებში დისკვალიფიცირებული მოთამაშეები, ცნობილი „ხულიგანი-ფეხბურთელები" შეკულარაცი და კოსტიჩი. უცხოეთის სპორტულ პრესას იუგოსლაველთა შანსები უკეთესად მიაჩნიათ, ვინაიდან ეს გუნდი ტექნიკურად უკეთ მომზადებული და სწრაფია.

იუგოსლავია-პოლონეთის ორ მატჩს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მათთვის არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს სამხრეთ კორეა-იაპონიას შორის გამარჯვებული გუნდი.



დღეს

საქართველოს პირველობა

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი)-„დინამო" (სოხუმი). 26 კომ. სახ. რ-ნის სტადიონი. დას. 16 საათზე. სკა (თბილისი)-„შუქური" (ქობულეთი). სკა-ს სტადიონი. დასაწყისი 18 საათზე. „სპარტაკი" (თბილისი)-„სპარტაკი" (რუსთავი). „დინამოს" სტადიონი. დას. 18 ს. „ისანი" (თბილისი)-„ლოკომოტივი" (სამტრედია). 26 კომისრის სახ. რაიონის სტადიონი. დას. 18 ს.

გაზეთი გამოდის ხამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დალმართი № 12, დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 8-69-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 8-90-34, გამომშვების — 8-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05559